

# საქართველოს მთავრობის

დადგენილება №683

2020 წლის 13 ნოემბერი

ქ. თბილისი

„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის №533 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

## მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ოქტომბრის №533 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 20/10/2015, 240110000. 10.003.018919) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის“:

1. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები:

„დ) უფლებამოსილი პირი – სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი პირი;

ე) ელექტრონული შტამპი – ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობისა და წარმომავლობის სისწორის დასადასტურებლად გამოიყენება.“.

2. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. უფლებამოსილი პირის უფლებამოსილებები

1. უფლებამოსილ პირს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიზნით ინსპექტირების განხორციელებისას უფლება აქვს:

ა) შევიდეს საწარმოში და შეამოწმოს:

ა.ა) სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების ადგილი, საწარმო, საწარმოს მიმდებარე ტერიტორია, სატრანსპორტო საშუალებები, ტექნიკისა და აღჭურვილობის მდგომარეობა და გამოყენების პირობები;

ა.ბ) ნედლეული, ინგრედიენტები, ნახევარფაბრიკატები, ტექნოლოგიური საშუალებები და სხვა პროდუქტები, რომლებიც გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების დასამზადებლად და საწარმოებლად; საბოლოო სურსათის/ცხოველის საკვები, მასალები და საგნები, რომლებსაც შეხება აქვთ სურსათთან/ცხოველის საკვებთან;

ა.გ) სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებები, რომლებსაც იყენებს ბიზნესოპერატორი;

ა.დ) ეტიკეტირება, რომელიც ხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაციის ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენით;

ბ) ამ წესის მე-11 – მე-16 მუხლების შესაბამისად, აიღოს ნიმუშები ლაბორატორიული გამოკვლევისათვის;

გ) გამოითხოვოს საჭირო დოკუმენტები ან სხვა მონაცემები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას სურსათის/ცხოველის საკვების შესახებ, გადაიღოს მათი ასლები და გააკეთოს ამონაწერები;



დ) შეამოწმოს პერსონალის ჯანმრთელობის დამადასტურებელი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სურსათის/ცხოველის საკვების ორგანოლეპტიკური შეფასების შედეგების საფუძველზე გააკეთოს ჩანაწერი შესაბამისობის შეფასების აქტის სათანადო ნაწილში;

ვ) უზრუნველყოს სახელმწიფო კონტროლის გადაღება ვიდეოკამერის მეშვეობით.

2. ბიზნესოპერატორი ვალდებულია, ხელი შეუწყოს უფლებამოსილ პირს ინსპექტირების განხორციელებაში.

3. ინსპექტირებისას უფლებამოსილი პირი ელექტრონულად ავსებს შესაბამისობის შეფასების აქტს.

4. იმ შემთხვევაში, თუ ინსპექტირება ხორციელდება „ტექნიკური რეგლამენტის – „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესით“ განსაზღვრულ მოთხოვნებთან ბიზნესოპერატორის შესაბამისობის დადგენის მიზნით, უფლებამოსილი პირი ადგენს შესაბამისობის შეფასების აქტს (დანართი №1); პირველადი წარმოების ობიექტებში ინსპექტირებისას ივსება შესაბამისობის შეფასების აქტი დანართ №2-ის შესაბამისად, ხოლო მოძრავ ან/და დროებით შენობებში ინსპექტირებისას – შესაბამისობის შეფასების აქტი დანართ №3-ის შესაბამისად.

5. იმ შემთხვევაში, თუ ინსპექტირება ხორციელდება „ტექნიკური რეგლამენტის – „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესით“ განსაზღვრულ ბიზნესოპერატორის საქმიანობაზე, უფლებამოსილი პირი ადგენს შესაბამისობის შეფასების აქტს დანართ №4-ის შესაბამისად, ხოლო თუ ინსპექტირება ხორციელდება „ტექნიკური რეგლამენტის – „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესით“ განსაზღვრულ პირველადი წარმოების ობიექტებში, უფლებამოსილი პირი ადგენს შესაბამისობის შეფასების აქტს დანართ №5-ის შესაბამისად.

6. უფლებამოსილი პირი შესაბამისობის შეფასების აქტში მოცემულ ინფორმაციას აცნობს ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელს ან წარმომადგენელს, რომელიც ეთანხმება ან არ ეთანხმება აღნიშნულ ინფორმაციას. ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის ნების გამოხატვა უნდა დადასტურდეს უფლებამოსილი პირის მიერ ვიდეოკამერის მეშვეობით გადაღებული ვიდეოფირით.

7. შესაბამისობის შეფასების აქტის შევსების შემდეგ უფლებამოსილი პირი ახდენს მასზე ელექტრონული შტამპის დასმას.

8. შესაბამისობის შეფასების აქტი ბიზნესოპერატორს ეგზავნება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რის შესახებ უფლებამოსილი პირი განუმარტავს ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელს ან წარმომადგენელს. აღნიშნული უნდა დადასტურდეს უფლებამოსილი პირის მიერ ვიდეოკამერის მეშვეობით გადაღებული ვიდეოფირით. ასეთ შემთხვევაში, შესაბამისობის შეფასების აქტი ითვლება ბიზნესოპერატორისათვის ჩაბარებულად. ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისობის შეფასების აქტის დამატებით გაგზავნა შესაძლებელია ბიზნესოპერატორის ან მისი წარმომადგენლის მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის ალტერნატიულ მისამართზეც.

9. თუ ამ მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლებამოსილი პირის მიერ ვერ ხერხდება ვიდეოკამერით გადაღება, უფლებამოსილმა პირმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისობის შეფასების აქტის ამოებჭდვა 2 ეგზემპლარად. თუ ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელი ან წარმომადგენელი ეთანხმება შესაბამისობის შეფასების აქტში მოცემულ ინფორმაციას, მაშინ იგი თავის თანხმობას მიუთითებს აქტის სპეციალურ გრაფაში, შესაბამისად, ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელი ან წარმომადგენელი ხელმოწერით ადასტურებს აღნიშნულს. იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელი ან წარმომადგენელი არ ეთანხმება შესაბამისობის შეფასების აქტში მოცემულ ინფორმაციას, იგი ამის შესახებ მიუთითებს აქტის სპეციალურ გრაფაში და ხელმოწერით ადასტურებს. შესაბამისობის შეფასების აქტის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა ბიზნესოპერატორს, მეორე ეგზემპლარი რჩება სააგენტოში.



10. თუ ბიზნესოპერატორი არ ეთანხმება შესაბამისობის შეფასების აქტში მითითებულ ინფორმაციას, ბიზნესოპერატორს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს კრიტიკულ შეუსაბამობას, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ბიზნესოპერატორი ვალდებულია, შეაჩეროს კონკრეტული საწარმოო პროცესი, ხოლო არაკრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მითითებების შესრულება ხდება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, არაკრიტიკული შეუსაბამობის არსებობისას, სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე უფლებამოსილ პირს უფლება არა აქვს, შევიდეს იმავე საწარმოში მიცემული მითითებების შესრულების გადამოწმების მიზნით.

12. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კრიტიკული შეუსაბამობის არსებობისას, თუ სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება ბიზნესოპერატორის სასარგებლოდ, სააგენტო ვალდებულია, აუნაზღაუროს ბიზნესოპერატორს კონკრეტული საწარმოო პროცესის შეჩერების შედეგად მიყენებული ზიანი.“.

### **3. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. უფლებამოსილი პირი ბიზნესოპერატორს აკისრებს ჯარიმას კრიტიკული შეუსაბამობის გამო, ხოლო ბიზნესოპერატორი ვალდებულია, შეაჩეროს კონკრეტული საწარმოო პროცესი.“.

### **4. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. დოკუმენტური შემოწმების დროს უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია:

ა) უზრუნველყოს სახელმწიფო კონტროლის გადაღება ვიდეოკამერის მეშვეობით;

ბ) გადაიღოს დოკუმენტების ასლები და გააკეთოს ამონაწერები.“.

### **5. მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 – მე-7 პუნქტები:**

„3. დოკუმენტური შემოწმების დროს უფლებამოსილი პირი ელექტრონულად ადგენს დოკუმენტური შემოწმების აქტს.

4. უფლებამოსილი პირი დოკუმენტური შემოწმების აქტში მოცემულ ინფორმაციას აცნობს ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელს ან წარმომადგენელს, რომელიც ეთანხმება ან არ ეთანხმება აღნიშნულ ინფორმაციას. ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის ნების გამოხატვა უნდა დადასტურდეს უფლებამოსილი პირის მიერ ვიდეოკამერის მეშვეობით გადაღებული ვიდეოფირით.

5. დოკუმენტური შემოწმების აქტის შევსების შემდეგ უფლებამოსილი პირი ახდენს მასზე ელექტრონული შტამპის დასმას.

6. დოკუმენტური შემოწმების აქტი ბიზნესოპერატორს ეგზავნება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რის შესახებ უფლებამოსილი პირი განუმარტავს ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელს ან წარმომადგენელს. აღნიშნული უნდა დადასტურდეს უფლებამოსილი პირის მიერ ვიდეოკამერის მეშვეობით გადაღებული ვიდეოფირით. ასეთ შემთხვევაში, დოკუმენტური შემოწმების აქტი ითვლება ბიზნესოპერატორისათვის ჩაბარებულად. ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის მოთხოვნის შემთხვევაში, დოკუმენტური შემოწმების აქტის დამატებით გაგზავნა შესაძლებელია ბიზნესოპერატორის ან მისი წარმომადგენლის მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის ალტერნატიულ მისამართზეც.

7. თუ ამ მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლებამოსილი პირის მიერ ვერ ხერხდება ვიდეოკამერით გადაღება, უფლებამოსილმა პირმა უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური შემოწმების აქტის ამობეჭდვა 2 ეგზემპლარად, თუ ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელი



ან წარმომადგენელი ეთანხმება დოკუმენტური შემოწმების აქტში მოცემულ ინფორმაციას, მაშინ იგი თავის თანხმობას მიუთითებს აქტის სპეციალურ გრაფაში, შესაბამისად, ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელი ან წარმომადგენელი ხელმოწერით ადასტურებს აღნიშნულს. იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელი ან წარმომადგენელი არ ეთანხმება დოკუმენტური შემოწმების აქტში მოცემულ ინფორმაციას, იგი ამის შესახებ მიუთითებს აქტის სპეციალურ გრაფაში და ხელმოწერით ადასტურებს. დოკუმენტური შემოწმების აქტის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა ბიზნესოპერატორს, მეორე ეგზემპლარი რჩება სააგენტოში.“.

**6. №1 – №5 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.**

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

დანართი №1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო

შესაბამისობის შეფასების აქტი № -----

(ივსება სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნების შემოწმების მიზნით)

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად

1.	ბიზნესოპერატორის სრული სახელწოდება				
2.	ბიზნესოპერატორის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები				
3.	ბიზნესოპერატორის წარმომადგენლის (თანამშრომელი) სახელი, გვარი, პირადი ნომერი				
4.	უფლებამოსილი პირის გვარი, სახელი, თანამდებობა, სააგენტოს მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი				
5.	დამსწრე პირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი, თანამდებობა, პირადი ნომერი				
6.	ინსპექტირების ტიპი				
6.1	გეგმური				
6.2	არაგეგმური (საფუძველი)				
7.	მოთხოვნები საწარმოს ტერიტორიისადმი	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
7.1	საწარმოს ტერიტორიის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, გათვალისწინებულია დაბინძურების ყველა პოტენციური წყარო.				



7.2	საწარმოს ტერიტორია მოსახერხებელია მყარი და თხევადი ნარჩენების გასატანად.				
7.3	ტერიტორიაზე განთავსებული ნაგებობები, ინვენტარი, აღჭურვილობა და სხვა მასალა, ასევე ტერიტორიაზე დარგული მწვანე ნარგავები გამორიცხავს სურსათის/ცხოველის საკვების დაბინძურებას.				
7.4	საჭიროების შემთხვევაში ტერიტორიაზე განთავსებულია დრენაჟის ეფექტიანი სისტემა.				
8.	მოთხოვნები საწარმოს შენობის მიმართ	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
8.1	შენობა მოწყობილია ისე, რომ იძლევა მის სუფთა მდგომარეობაში შენარჩუნების, დასუფთავებისა და დეზინფექციის საშუალებას.				
8.2	შენობა უზრუნველყოფილია ადეკვატური სამუშაო სივრცით.				
8.3	შენობაში დაცულია სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებისა და გადამამუშავების ტექნოლოგიური პროცესი და ამ პროცესის ნაკადურობა.				
8.4	შენობა დაცულია დამაბინძურებლებისაგან (მათ შორის: მანებლებისაგან, შინაური ბინადარი ცხოველებისაგან).				
8.5	მანებლების კონტროლის მიზნით, უზრუნველყოფილია ადეკვატურ ღონისძიებათა განხორციელება კერძოდ: სადერატიზაციო და სადეზინსექციო სამუშაოების ჩატარება და მათი აღრიცხვა.				
8.6	ტუალეტი არის საკმარისი რაოდენობის, ექვემდებარება დასუფთავება/დეზინფექციას, უზრუნველყოფილია: დრენაჟის ეფექტიანი სისტემით, სათანადო ბუნებრივი ან ხელოვნური ვენტილაციით და აღჭურვილია შესაბამისი ჰიგიენური საშუალებებით.				
8.7	ტუალეტის კარი არ იღება იმ ოთახში, სადაც ხდება სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება ან/და გადამამუშავება.				
8.8	შენობა უზრუნველყოფილია: საკმარისი რაოდენობის ხელსაბანით, რომელიც აღჭურვილია სათანადო ჰიგიენური საშუალებებით, ცხელი და ცივი წყლით.				
	საჭიროების შემთხვევაში სურსათის/ცხოველის საკვების				



8.9	გასარეცხი მოწყობილობა განცალკევებულია ხელის დასაბანი მოწყობილობისაგან.				
8.10	შენობა აღჭურვილია სათანადო ბუნებრივი ან მექანიკური ვენტილაციის საშუალებებით				
8.11	ვენტილაციის სისტემა დაგეგმარებული და მოწყობილია ისე, რომ ჰაერი არ მიედინება დაბინძურებული ადგილიდან სუფთა ადგილისაკენ, შესაძლებელია ფილტრებისა და სხვა ნაწილების ადვილად გაწმენდა და შეცვლა.				
8.12	შენობა აღჭურვილია ადეკვატური ბუნებრივი ან/და ხელოვნური განათებით.				
8.13	გასანათებელი მოწყობილობები იმგვარად არის დაცული, რომ ნათურის ან გასანათებელი მოწყობილობის გატეხვის შემთხვევაში თავიდან იქნეს აცილებული სურსათის/ცხოველის საკვების დაბინძურება.				
8.14	შენობაში უზრუნველყოფილია სათანადო სისუფთავე ყველა უბანზე. ფანჯრები, ფანჯრის მინები, სივრცეები, გამათბობელი მოწყობილობები, სავენტილაციო კამერები და არხები არის სუფთა მდგომარეობაში.				
8.15	საჭიროების შემთხვევაში შენობაში გამოყოფილია პერსონალის ტანსაცმლის გამოსაცვლელი ადგილი.				
8.16	სადრენაჟო სისტემა დაპროექტებული და მოწყობილია ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული დაბინძურების რისკი. ნარჩენები დაბინძურებული ტერიტორიიდან არ ხვდება სუფთა ტერიტორიაზე.				
8.17	შენობა უზრუნველყოფილია საკმარისი რაოდენობის სამაცივრე დანადგარებით.				
9	მოთხოვნები იმ სათავსის მიმართ, რომლებშიც ხდება სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება ან/და გადამამუშავება	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
9.1	შესასვლელები მოწყობილია ისე, რომ გამოირიცხოს საწარმოში სურსათის/ცხოველის საკვების რაიმე სახით დაბინძურება				
9.2	იატაკი ადვილად გასაწმენდია; საჭიროების შემთხვევაში იძლევა დეზინფიცირების საშუალებას; წყალგაუმტარია; შეწოვის უნარის არმქონეა; ირეცხება; დამზადებულია არატოქსიკური მასალისაგან; იძლევა				



	ადეკვატური დრენაჟის საშუალებას.				
9.3	კედელი (ტიხრები) ადვილად გასაწმენდია, საჭიროების შემთხვევაში, იძლევა დეზინფიცირების საშუალებას, კედლის ზედაპირის დასაცავად გამოყენებულია წყალგაუმტარი, შეწოვის უნარის არმქონე, რეცხვადი, არატოქსიკური მასალა, ტექნოლოგიური პროცესისათვის საჭირო სიმაღლეზე ან სხვა მასალის გამოყენების შემთხვევაში შეთანხმებულია სააგენტოსთან				
9.4	კარი ადვილად გასაწმენდია; საჭიროების შემთხვევაში, იძლევა დეზინფექციის საშუალებას; შეწოვის უნარის არმქონეა.				
9.5	ჭერი ადვილად გასაწმენდია; არ ხდება ჭუჭყის დაგროვება; ობის წარმოქმნა; ნაწილაკების ცვენა. მინიმუმამდეა შემცირებული კონდესატის წარმოქმნა.				
9.6	ფანჯრები და სინათლის სხვა ღიობები დამონტაჟებულია ისე, რომ თავიდან არის აცილებული ჭუჭყის დაგროვება. გარეთ გამავალი ფანჯრები დაფარულია მწერებისაგან დამცავი ადვილად გასაწმენდი ბადით. ღია ფანჯარა წარმოების დროს არ წარმოადგენს დაბინძურების წყაროს				
9.7	დაკიდული კონსტრუქციები დამონტაჟებულია იმგვარად, რომ არ მოხდეს სურსათის/ცხოველის საკვების დაბინძურება კონდენსატით. ადვილად სუფთავდება.				
9.8	სათავსი აღჭურვილია ინვენტარისა და აღჭურვილობების წმენდის, რეცხვის, დეზინფექციის და შენახვისთვის საჭირო მოწყობილობით. მოწყობილობა დამზადებულია კოროზიისადმი მდგრადი, ადვილად რეცხვადი მასალისაგან და უზრუნველყოფილია ცივი და ცხელი წყლით.				
9.9	სათავსში განთავსებულია სურსათის/ცხოველის საკვების რეცხვისთვის საკმარისი რაოდენობის ნიჟარა, რომელიც უზრუნველყოფილია ცივი ან/და ცხელი წყლით.				
9.10	წარმოების პროცესში არ მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები (მცირე შეკეთებითი სამუშაოების გარდა)				
9.11	ზედაპირები (მათ შორის მოწყობილობის ზედაპირი), რომლებიც უშუალო შეხებაშია სურსათთან/ცხოველის საკვებთან არის ადვილად გასაწმენდი და საჭიროების შემთხვევაში, იძლევა დეზინფიცირების საშუალებას, დამზადებულია გლუვი, რეცხვადი, კოროზიისადმი მდგრადი არატოქსიკური მასალით ან სხვა მასალის გამოყენების შემთხვევაში შეთანხმებულია სააგენტოსთან.				



10.	მოთხოვნები წყალმომარაგებისა და კანალიზაციისადმი	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
10.1	სურსათის/ცხოველის საკვების საწარმოებლად გამოყენებულია ისეთი ხარისხის სასმელი წყალი (მათ შორის, ყინულისათვის, ჰიგიენის ზოგად წესში განსაზღვრული გამონაკლისების გარდა), რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.				
10.2	წყლის შენახვისა და მიწოდებისათვის საჭირო მოწყობილობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაცულია დაბინძურებისაგან. საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი დეზინფექცია.				
10.3	ორთქლი, რომელიც უშუალო შეხებაშია სურსათთან/ცხოველის საკვებთან ან მის ზედაპირთან, არ იწვევს სურსათის/ცხოველის საკვების დაბინძურებას.				
10.4	სუფთა წყლის მიწოდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხდება სასმელი წყლის მიღებისაგან განცალკევებული მილებით.				
10.5	ჰერმეტიკულად დახურულ კონტეინერში სურსათის თერმული დამუშავებისას გასაცეხებლად გამოყენებული წყალი არ იწვევს სურსათის დაბინძურებას.				
10.6	„გამოყენებული წყლის გაწმენდა-გასუფთავების შემდეგ მისი ხელახალი გამოყენება სურსათში/ცხოველის საკვებში ინგრედიენტის სახით ან სურსათის/ცხოველის საკვების გადამუშავებისათვის არ ქმნის სურსათის/ცხოველის საკვების დაბინძურების რისკს.“				
11.	მოთხოვნები იმ საგნების, აღჭურვილობებისა და მოწყობილობებისადმი, რომლებიც უშუალო შეხებაშია სურსათთან/ცხოველის საკვებთან	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
11.1	აღჭურვილობა და მოწყობილობა (რომელიც შეხებაშია სურსათის/ცხოველის საკვებთან) დამონტაჟებული არის იმგვარად, რომ იძლევა მათი და გარშემო ტერიტორიის გაწმენდის შესაძლებლობას.				
11.2	რეგულარულად ხდება მათი დასუფთავება და აუცილებლობის				





	შემთხვევაში დეზინფექცია.				
11.3	დამზადებულია ისეთი მასალისაგან, რომელიც მინიმუმამდე ამცირებს დაბინძურების რისკს.				
11.4	საგანი, აღჭურვილობა და მოწყობილობა არ არის კოროზირებული.				
12.	მოთხოვნები სურსათის/ცხოველის საკვების მიმართ	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
12.1	წარმოებისათვის/გადამუშავებისათვის გამოსაყენებელი ნედლეული (გარდა ცოცხალი ცხოველის), ინგრედიენტი ან სხვა ნებისმიერი მასალა დაბინძურებული არ არის მავნებლებით, პათოგენური მიკროორგანიზმებით, უცხო სხეულებით.				
12.2	წარმოებისათვის/გადამუშავებისათვის გამოსაყენებელი ნედლეული, ინგრედიენტი ან სხვა ნებისმიერი მასალა არ არის ტოქსიკური.				
12.3	წარმოებისათვის/გადამუშავებისათვის გამოსაყენებელი ნედლეული, ინგრედიენტი ან სხვა ნებისმიერი მასალა ინახება ისეთ პირობებში, რომელიც გამორიცხავს მათ დაბინძურებას ან/და გაფუჭებას.				
12.4	წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე ნედლეული, ინგრედიენტები და სურსათი/ცხოველის საკვები დაცულია მიკროორგანიზმების ზრდა-განვითარებისაგან, პარაზიტების გამრავლებისა და ტოქსინების წარმოქმნისაგან.				
12.5	დაცულია სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების, გადამუშავების და შენახვის სათანადო პირობები (ტემპერატურა, წნევა, ტენიანობა, აერაცია), უზრუნველყოფილია მათი გაკონტროლების შესაძლებლობა და აღრიცხვა.				
12.6	რეგულარულად მოწმდება სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები (კანონმდებლობით დადგენილი წესით ან/და საჭიროების მიხედვით).				
12.7	სურსათის/ცხოველის საკვების შენახვისას არაერთგვაროვანი პროდუქცია განცალკევებულია.				
12.8	ბიზნესოპერატორი სურსათის მიღებისას აწარმოებს შესაბამის ჩანაწერებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.				
12.9	ბიზნესოპერატორი სურსათის ბაზარზე განთავსებისას აწარმოებს შესაბამის ჩანაწერებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.				



12.10	დანერგული საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა – HACCP (კანონმდებლობით დადგენილი წესით)				
12.11	დაცულია სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტირების მოთხოვნები.				
12.12	დაცულია სურსათის/ცხოველის საკვების შენახვის ვადა.				
13.	სურსათის/ცხოველის საკვების შეფუთვისა და დაფასობისათვის საჭირო მოთხოვნები	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
13.1	შესაფუთი ან/და დასაფასობელი მასალა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დაშვებულია სურსათის/ცხოველის საკვებთან უშუალო შეხებისთვის.				
13.2	შესაფუთი ან/და დასაფასობელი მასალა არის ისეთ მდგომარეობაში, რომ სურსათთან/ცხოველის საკვებთან უშუალო შეხებისას არ მოხდება სურსათის დაბინძურება.				
13.3	შესაფუთი ან/და დასაფასობელი მასალა არის ადვილად გასაწმენდი, საჭიროების შემთხვევაში ხდება მისი დეზინფექცია.				
14.	მოთხოვნები ნარჩენების მართვის მიმართ	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
14.1	სურსათის /ცხოველის საკვების წარმოების ნარჩენების, ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტების დაგროვების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოფილია მათი გატანა იმ სათავიდან, რომელშიც ხდება სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება, გადამუშავება და შენახვა				
14.2	სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების ნარჩენების, ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტების გატანა ხდება ისეთი საშუალებებით, რომლებიც გამორიცხავს საწარმოს დაბინძურებას				
14.3	სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების ნარჩენების გატანისთვის საჭირო კონტეინერები ადვილად გასაწმენდია და საჭიროების შემთხვევაში, იძლევა დეზინფიცირების საშუალებას.				



14.4	ადგილი, სადაც ხდება სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების ნარჩენების დროებით განთავსება, უზრუნველყოფს მის სუფთა მდგომარეობაში შენარჩუნებას და საჭიროების შემთხვევაში, ცხოველებისა და პარაზიტებისაგან დაცვას.				
14.5	უზრუნველყოფილია ყველა სახის საწარმოო ნარჩენის განადგურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ისეთი ჰიგიენური პირობების დაცვით, რომელიც გამორიცხავს გარემოს დაბინძურებას.				
15.	მოთხოვნები დეზინფექციის მიმართ	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
15.1	დასალაგებელი ინვენტარი, სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებები, სადეზინფექციო საშუალებების დასამზადებლად საჭირო ქიმიური ნივთიერებები ინახება ისე, რომ არ მოხდეს მათი შეხება შესაფუთ მასალასა და სურსათთან/ცხოველის საკვებთან.				
15.2	დასუფთავებისა და დეზინფექციის ყოველი პროცედურა აღრიცხულია თარიღისა და დროის მითითებით.				
15.3	სადეზინფექციო საშუალებები რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და თანმხლები დოკუმენტაციის თანახმად დასაშვები სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება/გადამუშავებაში.				
15.4	სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებაში გამოყენებული სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებები არ ქმნის რისკს სურსათის/ცხოველის საკვებისათვის“.				
16.	მოთხოვნები სურსათის/ცხოველის საკვების ტრანსპორტირებისადმი	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
16.1	სურსათის/ცხოველის საკვების გადასაზიდად გამოყენებული საშუალებები (ტრანსპორტი, ჭურჭელი, კონტეინერი) არის ისეთ მდგომარეობაში, რომელიც გამორიცხავს სურსათის/ცხოველის საკვების დაბინძურებას.				
16.2	გადასაზიდ საშუალებებში, ასევე კონტეინერებსა და შესაბამის ჭურჭელში არსებული სურსათი/ცხოველის საკვები განთავსებულია და დაცულია ისე, რომ მინიმუმამდეა შემცირებული დაბინძურების რისკი.				
16.3	გადასაზიდი საშუალებები იძლევა არაერთგვაროვანი სურსათის/ცხოველის საკვების განცალკევების				



	შესაძლებლობას.				
16.4	გადასაზიდი საშუალებები იძლევა სურსათისათვის/ცხოველის საკვებისათვის საჭირო ტემპერატურის შენარჩუნებისა და აღრიცხვის შესაძლებლობას.				
16.5	საჭიროების შემთხვევაში ხდება სურსათის/ცხოველის საკვების გადასაზიდი საშუალებების დასუფთავება/დეზინფექცია.				
16.6	თხევადი, დაქუცმაცებული ან ფხვნილის სახის შეუფუთავი სურსათი გადაიტანება მხოლოდ სურსათისათვის განკუთვნილი ჭურჭლით/კონტეინერებით/ტანკერებით და ასეთი კონტეინერები თვალსაჩინოდ მარკირებულია წარწერით „მხოლოდ სურსათისათვის“				
17.	პერსონალის პირადი ჰიგიენა და ჯანმრთელობის მდგომარეობა	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
17.1	სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება/გადამუშავებასთან შეხებაში მყოფ პერსონალს აცვია შესაფერისი, სუფთა და საჭიროების შემთხვევაში დამცავი ტანსაცმელი.				
17.2	პერსონალი, რომელიც ინფიცირებულია ისეთი დაავადებით, რომლის გავრცელება შესაძლებელია სურსათით/ცხოველის საკვებით, არ იღებს მონაწილეობას სურსათის წარმოების/გადამუშავების პროცესში.				
17.3	პერსონალის დამცავი ტანსაცმელი არ შეიცავს ისეთ ნივთებს, რომლებიც წარმოადგენს ფიზიკურ საფრთხეს (მაგ.: ქიმიკატი, ნემსი, პირადი ჰიგიენის საშუალებები და სხვ).				
17.4	წარმოებისა და გადამუშავების ადგილებში უცხო პირთა შესვლისას გამოიყენება დამცავი ტანსაცმელი.				
17.5	პერსონალს გავლილი აქვს შესაბამისი სწავლება ან/და ინსტრუქტაჟი სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის საკითხებთან დაკავშირებით.				
17.6	პერსონალს გავლილი აქვს შესაბამისი სწავლება ან/და ინსტრუქტაჟი საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) პრინციპებზე დაფუძნებულ სისტემასთან დაკავშირებით (საჭიროების შემთხვევაში).				
17.7	საწარმოში თამბაქოს არ ეწევიან, გარდა მწველთათვის გამოყოფილი სპეციალური ადგილისა				
18.	შემოწმების შედეგები: დაცულია საქართველოს კანონმდებლობის	კი		არა	



	მოთხოვნები		
19.	შეუსაბამობის ტიპი, ასეთის არსებობის შემთხვევაში		
19.1	არაკრიტიკული შეუსაბამობა		
19.2	კრიტიკული შეუსაბამობა		
19.3	არაკრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში, მიუთითეთ მითითებების შესრულებისათვის საჭირო გონივრული ვადა		
20. შენიშვნა			
ინსპექტირების ჩატარების თარიღი (რიცხვი, თვე)			
ინსპექტირების დაწყებისა და დასრულების დრო (სთ./წთ.)			
ელექტრონული შტამპი			
ბიზნესოპერატორის წარმომადგენლის (თანამშრომლის) პოზიცია	ეთანხმება	არ ეთანხმება (მიუთითეთ კონკრეტული საკითხები და პუნქტები)	
<p>ბიზნესოპერატორს ან მის წარმომადგენელს განემარტა, რომ შესაბამისობის შეფასების აქტი გაიგზავნება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე და შესაბამისობის შეფასების აქტი ჩაითვლება ბიზნესოპერატორისათვის ჩაბარებულად. აღნიშნული განმარტება დადასტურებულია ვიდეოკამერის მეშვეობით გადაღებული ვიდეოფირით.</p>			

დანართი №2

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

**სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო**

შესაბამისობის შეფასების აქტი № -----

(ივსება პირველადი წარმოების ობიექტების ინსპექტირებისას ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნების შემოწმების მიზნით)

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად



2.	ბიზნესოპერატორის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები	
3.	ბიზნესოპერატორის წარმომადგენლის (თანამშრომლის) სახელი, გვარი, პირადი ნომერი	
4.	სურსათის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანო (დასახელება, მისამართი, ტელეფონი, ფაქსი)	
5.	უფლებამოსილი პირის გვარი, სახელი, თანამდებობა, სააგენტოს მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი	
6.	დამსწრე პირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი, თანამდებობა, პირადი ნომერი	

--	--	--

7.	ინსპექტირების ტიპი
7.1	გეგმური
7.2	არაგეგმური (საფუძველი)

--	--	--

8.	საფრთხეების კონტროლის ღონისძიებები	კი	არა	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
8.1	შემღებისდაგვარად უზრუნველყოფილია თუ არა დაბინძურების კონტროლის ღონისძიებები:				
ა)	ჰაერიდან				
ბ)	ნიადაგიდან				
გ)	წყლიდან				
დ)	საკვებიდან				
ე)	სასუქებიდან				
ვ)	ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატებიდან				
ზ)	მცენარეთა დაცვის საშუალებებიდან				
თ)	ბიოციდებიდან				
ი)	შენახვისას				
კ)	წარმოებისას				
ლ)	ნარჩენების გატანისას				



8.2	შემღებისდაგვარად ხორციელდება თუ არა ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ღონისძიებები, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანის/ცხოველის ჯანმრთელობაზე:				
ა)	ზოონოზური აგენტების მონიტორინგისა და კონტროლის პროგრამები				
ბ)	ზოოანთროპოზური აგენტების მონიტორინგისა და კონტროლის პროგრამები				
გ)	სხვა				
9.	არის თუ არა სუფთა მდგომარეობაში ის მოწყობილობები, რომლებიც უშუალო კავშირშია პირველად წარმოებასა და მასთან დაკავშირებულ ოპერაციებთან	კი	არა	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში –შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
ა)	შესანახი მოწყობილობა				
ბ)	სადისტრიბუციო და სხვა გადასაზიდი საშუალებები				
გ)	ჩატვირთვა-გადმოტვირთვისათვის განკუთვნილი მოწყობილობა				
9.1	საჭიროების შემთხვევაში, ხდება თუ არა მოწყობილობების, რომლებიც უშუალო კავშირშია პირველად წარმოებასა და მასთან დაკავშირებულ ოპერაციებთან, სათანადო წესით დეზინფიცირება				
10.	მოთხოვნები წყლის მიმართ	კი	არა	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
10.1	სასმელი წყალი (მისი გამოყენების შემთხვევაში) აკმაყოფილებს თუ არა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს				
10.2	სუფთა წყალი (მისი გამოყენების შემთხვევაში) შეესაბამება თუ არა სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/ დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესით დადგენილ მოთხოვნებს				
11.	მოთხოვნები პირველადი პროდუქტების მიმართ	კი	არა	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
11.1	ხდება თუ არა პირველადი პროდუქტის დაბინძურება მავნებლებისაგან				
11.2	ხდება თუ არა პირველადი პროდუქტის დაბინძურება ნარჩენებისა და საფრთხის შემცველი ნივთიერებების შენახვა-				



	გადაზიდვის დროს				
12.	ტარდება თუ არა პრევენციული ზომები საწარმოში ახალი ცხოველების შეყვანის დროს				
13.	გამოიყენება თუ არა შემდეგი სახის საშუალებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად:				
ა)	საკვებდანამატები				
ბ)	ვეტერინარული დანიშნულების სამედიცინო პრეპარატები				
გ)	მცენარეთა დაცვის საშუალებები				
დ)	აგროქიმიკატები				
ე)	ბიოციდები				
14.	ჩანაწერების წარმოება საფრთხეების გაკონტროლებასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ	კი	არა	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
14.1	ბიზნესოპერატორი, რომელიც აწარმოებს ცხოველური წარმოშობის პირველად პროდუქტებს (მათ შორის, მისდევს მეცხოველეობას, ნადირობას და სხვ.), აწარმოებს თუ არა შემდეგი სახის ჩანაწერებს:				
ა)	ცხოველის საკვების წარმოშობის შესახებ				
ბ)	ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების შესახებ (მათი გამოყენების თარიღების მითითებით)				
გ)	დაავადებათა შემთხვევების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ცხოველური წარმოშობის პირველად პროდუქტებზე				
დ)	ცხოველებიდან აღებული ნებისმიერი ნიმუშის გამოკვლევის შედეგების შესახებ, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის				
ე)	ცხოველების ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტების შემოწმებათა განხორციელების შესახებ				
14.2	ბიზნესოპერატორი, რომელიც აწარმოებს ან მოჰყავს მცენარეული წარმოშობის პირველადი პროდუქტი, აწარმოებს თუ არა შემდეგი სახის ჩანაწერებს:				
ა)	მცენარეთა დაცვის საშუალებების, აგროქიმიკატებისა და ბიოციდების გამოყენების შესახებ (მათი გამოყენების თარიღების მითითებით)				





ბ)	პარაზიტების ან დაავადებების ნებისმიერი წარმოშობის შესახებ, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მცენარეული წარმოშობის პირველად პროდუქტზე			
გ)	მცენარეებიდან აღებული ნებისმიერი ნიმუშის გამოკვლევის შედეგების შესახებ, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის			
15.	შემოწმების შედეგები: დაცულია თუ არა ჰიგიენის ზოგადი წესით დადგენილი მოთხოვნები	კი		არა
16.	შეუსაბამობის ტიპი, ასეთის არსებობის შემთხვევაში			
16.1	არაკრიტიკული შეუსაბამობა			
16.2	კრიტიკული შეუსაბამობა			
16.3	არაკრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში, მიუთითეთ მითითებების შესრულებისათვის საჭირო გონივრული ვადა			
17. შენიშვნა				
ინსპექტირების ჩატარების თარიღი (რიცხვი, თვე)				
ინსპექტირების დაწყებისა და დასრულების დრო (სთ./წთ.)				
ელექტრონული შტამპი				
ბიზნესოპერატორის წარმომადგენლის (თანამშრომლის) პოზიცია	ეთანხმება			არ ეთანხმება (მიუთითეთ კონკრეტული საკითხები და პუნქტები)
<p>ბიზნესოპერატორს ან მის წარმომადგენელს განემარტა, რომ შესაბამისობის შეფასების აქტი გაიგზავნება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე და შესაბამისობის შეფასების აქტი ჩაითვლება ბიზნესოპერატორისათვის ჩაბარებულად. აღნიშნული განმარტება დადასტურებულია ვიდეოკამერის მეშვეობით გადაღებული ვიდეოფირით.</p>				



შესაბამისობის შეფასების აქტი № -----

(ივსება მოძრავი და/ან დროებითი შენობის მიმართ ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნების შემოწმების მიზნით)

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად

1.	ბიზნესოპერატორის სრული სახელწოდება				
2.	ბიზნესოპერატორის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები				
3.	ბიზნესოპერატორის წარმომადგენლის(თანამშრომელი) სახელი, გვარი, პირადი ნომერი				
4.	უფლებამოსილი პირის გვარი, სახელი, თანამდებობა, სააგენტოს მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი				
5.	დამსწრე პირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი, თანამდებობა, პირადი ნომერი				
6.	ინსპექტირების ტიპი				
6.1	გეგმური				
6.2	არაგეგმური (საფუძველი)				
7.	მოთხოვნები სურსათის/ცხოველის საკვების საწარმოებლად განკუთვნილი შენობის მიმართ	კი	არა	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში შესაბამისი დასაბუთება)	რეკომენდაციები
7.1	შენობა მოწყობილია ისე, რომ იძლევა მის ადეკვატურად სუფთა მდგომარეობაში შენარჩუნების შესაძლებლობას				
7.2	შენობა დაცულია დამაბინძურებლებისაგან (მათ შორის, მავნებლებისაგან)				
7.3	უზრუნველყოფილია სურსათის/ცხოველის საკვების სათანადო ტემპერატურით დამუშავებისა და შენახვის პირობები, ტემპერატურის გაკონტროლების შესაძლებლობა და აღრიცხვა				
7.4	ტულეტის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია დასუფთავება/დეზინფიცირება და აღჭურვილია შესაბამისი ჰიგიენური საშუალებებით				
7.5	საწარმოში უზრუნველყოფილია სათანადო სისუფთავე ყველა უბანზე, დასუფთავების და დეზინფექციის ყოველი პროცედურა აღრიცხულია თარიღის მითითებით				
8.	მოთხოვნები წყალმომარაგებისა და კანალიზაციისადმი	კი	არა	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	რეკომენდაციები



8.1	სურსათის/ცხოველის საკვების საწარმოებლად გამოყენებულია ისეთი ხარისხის სასმელი წყალი (მათ შორის, ყინულისათვის, ჰიგიენის ზოგად წესში განსაზღვრული გამონაკლისების გარდა), რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს				
8.2	მოწყობილობები წყლის შენახვისა და მიწოდებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაცულია დაბინძურებისაგან; საჭიროების შემთხვევაში, ხდება მისი დეზინფიცირება				
9.	მოთხოვნები იმ საგნების, აღჭურვილობებისა და მოწყობილობებისადმი, რომლებიც უშუალო შეხებაშია სურსათთან/ცხოველის საკვებთან	კი	არა	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	რეკომენდაციები
9.1	ხდება თუ არა მათი დასუფთავება და აუცილებლობის შემთხვევაში – დეზინფიცირება				
9.2	არის თუ არა ისინი ისეთი მასალისაგან დამზადებული, რომელიც მინიმუმამდე ამცირებს დაბინძურების რისკს				
10.	მოთხოვნები სურსათის/ცხოველის საკვების მიმართ	კი	არა	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	რეკომენდაციები
10.1	სურსათი, ინგრედიენტი ან სხვა ნებისმიერი მასალა დაბინძურებულია თუ არა მავნებლებით, პათოგენური მიკროორგანიზმებით, უცხო სხეულებით, ტოქსიკური ნივთიერებებით				
10.2	სურსათი/ცხოველის საკვები, ინგრედიენტი ან სხვა ნებისმიერი მასალა ინახება თუ არა ისეთ პირობებში, რომ თავიდან იქნეს აცილებული მათი დაბინძურება				
10.3	სურსათის/ცხოველის საკვების შენახვისას არაერთგვაროვანი პროდუქცია არის თუ არა განცალკევებული				
10.4	აწარმოებს თუ არა ბიზნესოპერატორი საჭირო ნედლეულის, ინგრედიენტის ან ნებისმიერი სხვა მასალის მიღებისას ჩანაწერებს ნედლეულის, ინგრედიენტის ან ნებისმიერი სხვა მასალის მიწოდების საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და ჩაბარების თარიღის მითითებით				
11.	სურსათის/ცხოველის საკვების შეფუთვისათვის საჭირო მოთხოვნები	კი	არა	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	რეკომენდაციები
11.1	ტარა ან სხვა სახის შესაფუთი მასალა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაშვებულია სურსათის/ცხოველის საკვებთან უშუალო შეხებისთვის				
11.2	ტარა ან სხვა სახის შესაფუთი მასალა არის ისეთ მდგომარეობაში, რომ სურსათთან/ცხოველის საკვებთან უშუალო შეხებისას არ მოხდეს პროდუქტის				



	დაბინძურება				
12.	მოთხოვნები ნარჩენების მართვის მიმართ	კი	არა	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	რეკომენდაციები
12.1	ხდება თუ არა სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების ნარჩენების გატანა ისეთი საშუალებებით, რომლებიც გამოირიცხავს შენობის დაბინძურებას				
13.	მოთხოვნები სარეცხი, სადუზინფექციო საშუალებებისა და დასალაგებელი ინვენტარის მიმართ	კი	არა	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	რეკომენდაციები
13.1	დასალაგებელი ინვენტარი, სარეცხი და სადუზინფექციო საშუალებები, სადუზინფექციო საშუალებების დასამზადებლად საჭირო ქიმიური ნივთიერებები ინახება ისე, რომ არ მოხდეს მათი შეხება შესაფუთ მასალასა და სურსათთან/ცხოველის საკვებთან				
13.2	სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების პროცესში გამოყენებული სარეცხი და სადუზინფექციო საშუალებები არის თუ არა ტოქსიკური ადამიანისათვის და საზიანო სურსათის/ცხოველის საკვებისთვის				
14.	მოთხოვნები პერსონალის მიმართ	კი	არა	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	რეკომენდაციები
14.1	პერსონალის ტანსაცმელი არის თუ არა სუფთა				
14.2	პერსონალი იყენებს თუ არა დამცავ ტანსაცმოს (მაგ.: ხელთათმანებს, თავსაბურავებს)				
14.3	პირი, რომელიც ინფიცირებულია ისეთი დაავადებით, რომლის გავრცელება შესაძლებელია სურსათით/ცხოველის საკვებით, იღებს თუ არა მონაწილეობას პროდუქტის წარმოების/გადამუშავების პროცესში				
14.4	პერსონალის ტანსაცმოსი შეიცავს თუ არა გარეშე ნივთებს (მაგ.: ქინძისთავი, ნემსი, პირადი ჰიგიენის საშუალებები და სხვ.)				
15.	შემოწმების შედეგები: დაცულია თუ არა ჰიგიენის ზოგადი წესით დადგენილი მოთხოვნები	კი	არა		
16.	შეუსაბამობის ტიპი, ასეთის არსებობის შემთხვევაში				
16.1	არაკრიტიკული შეუსაბამობა				



16.2	კრიტიკული შეუსაბამობა	
16.3	არაკრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში მიუთითეთ რეკომენდაციების შესრულებისათვის საჭირო გონივრული ვადა	
17. შენიშვნა		
ინსპექტირების ჩატარების თარიღი (რიცხვი, თვე)		
ინსპექტირების დაწყებისა და დასრულების დრო (სთ./წთ.)		
ელექტრონული შტამპი		
ბიზნესოპერატორის წარმომადგენლის (თანამშრომლის) პოზიცია	ეთანხმება	არ ეთანხმება (მიუთითეთ კონკრეტული საკითხები და პუნქტები)
<p>ბიზნესოპერატორს ან მის წარმომადგენელს განემარტა, რომ შესაბამისობის შეფასების აქტი გაიგზავნება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე და შესაბამისობის შეფასების აქტი ჩაითვლება ბიზნესოპერატორისათვის ჩაბარებულად. აღნიშნული განმარტება დადასტურებულია ვიდეოკამერის მეშვეობით გადაღებული ვიდეოფირით.</p>		

დანართი №4

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

**სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო**

შესაბამისობის შეფასების აქტი № -----

(ივსება სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული მოთხოვნების შემოწმების მიზნით)

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად

1.	ბიზნესოპერატორის სრული სახელწოდება	
2.	ბიზნესოპერატორის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები	
3.	ბიზნესოპერატორის წარმომადგენლის (თანამშრომელი) სახელი, გვარი, პირადი ნომერი	
4.	უფლებამოსილი პირის გვარი, სახელი, თანამდებობა, სააგენტოს მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი	
	დამსწრე პირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი, თანამდებობა, პირადი	



5.	ნომერი				
6.	ინსპექტირების ტიპი				
6.1	გეგმური				
6.2	არაგეგმური (საფუძველი)				
7.	მოთხოვნები საწარმოს შენობის მიმართ	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
7.1	შენობა მოწყობილია ისე, რომ იძლევა მის სუფთა მდგომარეობაში შენარჩუნების, დასუფთავებისა და დეზინფექციის საშუალებას.				
7.2	შენობაში დაცულია სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებისა და გადამამუშავების ტექნოლოგიური პროცესი და ამ პროცესის ნაკადურობა.				
7.3	შენობა დაცულია დამაბინძურებლებისაგან (მათ შორის: მავნებლებისაგან, შინაური ბინადარი ცხოველებისგან).				
7.4	მავნებლების კონტროლის მიზნით, უზრუნველყოფილია ადეკვატურ ღონისძიებათა განხორციელება, კერძოდ: სადერატიზაცია და სადეზინსექციო სამუშაოების ჩატარება და მათი აღრიცხვა.				
7.5	შენობაში ტუალეტის არსებობის შემთხვევაში ხდება მისი დასუფთავება და დეზინფექცია.				
7.6	შენობა აღჭურვილია სათანადო ბუნებრივი ან მექანიკური ვენტილაციის საშუალებებით.				
7.7	შენობა აღჭურვილია ადეკვატური ბუნებრივი ან/და ხელოვნური განათებით.				
7.8	შენობა უზრუნველყოფილია საკმარისი რაოდენობის სამაცივრე დანადგარებით.				
8.	მოთხოვნები იმ სათავსის მიმართ, რომლებშიც ხდება სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება ან/და გადამამუშავება	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
8.1	იატაკი ადვილად გასაწმენდია; საჭიროების შემთხვევაში იძლევა დეზინფიცირების საშუალებას.				
8.2	კედელი (ტიხრები) ადვილად გასაწმენდია; საჭიროების შემთხვევაში, იძლევა დეზინფიცირების				



	საშუალებას.				
8.3	კარი ადვილად გასაწმენდია; საჭიროების შემთხვევაში, იძლევა დეზინფიცირების საშუალებას; შეწოვის უნარის არმქონეა.				
8.4	ჭერი ადვილად გასაწმენდია; არ ხდება ჭუჭყის დაგროვება; ობის წარმოქმნა; ნაწილაკების ცვენა. მინიმუმამდე შემცირებული კონდენსატის წარმოქმნა.				
8.5	დაკიდული კონსტრუქციები დამონტაჟებულია იმგვარად, რომ არ მოხდეს სურსათის/ცხოველის საკვების დაბინძურება კონდენსატით. ადვილად სუფთავდება.				
8.6	წარმოების პროცესში არ მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები (მცირე შეკეთებითი სამუშაოების გარდა).				
8.7	ზედაპირები (მათ შორის მოწყობილობის ზედაპირი), რომლებიც უშუალო შეხებაშია სურსათთან/ცხოველის საკვებთან არის ადვილად გასაწმენდი და საჭიროების შემთხვევაში იძლევა დეზინფიცირების საშუალებას, დამზადებულია გლუვი, რეცხვადი, კოროზიისადმი მდგრადი არატოქსიკური მასალით				
9.	მოთხოვნები წყალმომარაგებისა და კანალიზაციისადმი	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
9.1	სურსათის/ცხოველის საკვების საწარმოებლად გამოყენებულია ისეთი ხარისხის სასმელი წყალი (მათ შორის, ყინულისათვის, ჰიგიენის ზოგად წესში განსაზღვრული გამონაკლისების გარდა), რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.				
9.2	წყლის შენახვისა და მიწოდებისათვის საჭირო მოწყობილობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაცულია დაბინძურებისაგან. საჭიროების შემთხვევაში, ხდება მისი დეზინფექცია.				
9.3	საწარმოს გააჩნია ნარჩენების გატანისა და საჭიროების შემთხვევაში, დრენაჟის ეფექტიანი სისტემა, რომელიც გამართულ მდგომარეობაშია.				
10.	მოთხოვნები იმ საგნების, აღჭურვილობებისა და მოწყობილობებისადმი, რომლებიც უშუალო შეხებაშია სურსათთან/ცხოველის საკვებთან	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
10.1	რეგულარულად ხდება მათი დასუფთავება და აუცილებლობის შემთხვევაში დეზინფექცია.				
10.2	დამზადებულია ისეთი მასალისაგან, რომელიც მინიმუმამდე ამცირებს დაბინძურების რისკს.				
	საგანი, აღჭურვილობა და მოწყობილობა არ არის				



10.3	კოროზირებული.				
11.	მოთხოვნები სურსათის/ცხოველის საკვების მიმართ	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
11.1	წარმოებისათვის/გადამუშავებისათვის გამოსაყენებელი ნედლეული (გარდა ცოცხალი ცხოველის), ინგრედიენტი ან სხვა ნებისმიერი მასალა დაბინძურებული არ არის მავნებლებით, პათოგენური მიკროორგანიზმებით, უცხო სხეულებით.				
11.2	წარმოებისათვის/გადამუშავებისათვის გამოსაყენებელი ნედლეული, ინგრედიენტი ან სხვა ნებისმიერი მასალა არ არის ტოქსიკური.				
11.3	წარმოებისათვის/გადამუშავებისათვის გამოსაყენებელი ნედლეული, ინგრედიენტი ან სხვა ნებისმიერი მასალა ინახება ისეთ პირობებში, რომელიც გამორიცხავს მათ დაბინძურებას, ან/და გაფუჭებას.				
11.4	წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე ნედლეული, ინგრედიენტები და სურსათი/ცხოველის საკვები დაცულია მიკროორგანიზმების ზრდა-განვითარებისაგან, პარაზიტების გამრავლებისა და ტოქსინების წარმოქმნისაგან.				
11.5	დაცულია სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების, გადამუშავების და შენახვის სათანადო პირობები (ტემპერატურა, წნევა, ტენიანობა, აერაცია), უზრუნველყოფილია მათი გაკონტროლების შესაძლებლობა და აღრიცხვა.				
11.6	რეგულარულად მოწმდება სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები (კანონმდებლობით დადგენილი წესით ან/და საჭიროების მიხედვით).				
11.7	სურსათის/ცხოველის საკვების შენახვისას არაერთგვაროვანი პროდუქცია განცალკევებულია.				
11.8	ბიზნესოპერატორი სურსათის მიღებისას აწარმოებს შესაბამის ჩანაწერებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.				
11.9	ბიზნესოპერატორი სურსათის ბაზარზე განთავსებისას აწარმოებს შესაბამის ჩანაწერებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.				
11.10	დანერგულია საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა - HACCP (კანონმდებლობით დადგენილი წესით).				
11.11	დაცულია სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტირების მოთხოვნები.				
11.12	დაცულია სურსათის/ცხოველის საკვების შენახვის				





	ვადა.				
12.	სურსათის/ცხოველის საკვების შეფუთვისა და დაფასოებისათვის საჭირო მოთხოვნები	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
12.1	შესაფუთი ან/და დასაფასოებელი მასალა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დაშვებულია სურსათის/ცხოველის საკვებთან უშუალო შეხებისთვის.				
12.2	შესაფუთი ან/და დასაფასოებელი მასალა არის ისეთ მდგომარეობაში, რომ სურსათთან/ცხოველის საკვებთან უშუალო შეხებისას არ მოხდება სურსათის დაბინძურება.				
12.3	შესაფუთი ან/და დასაფასოებელი მასალა არის ადვილად გასაწმენდი, საჭიროების შემთხვევაში, ხდება მისი დეზინფექცია.				
13.	მოთხოვნები ნარჩენების მართვის მიმართ	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
13.1	სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების ნარჩენების დაგროვების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოფილია მათი გატანა იმ სათავსიდან, რომელშიც ხდება სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება, გადამუშავება და შენახვა.				
13.2	სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების ნარჩენების გატანა ხდება ისეთი საშუალებებით, რომლებიც გამორიცხავს საწარმოს დაბინძურებას.				
13.3	სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების ნარჩენების გატანისთვის საჭირო კონტეინერები ადვილად გასაწმენდია და საჭიროების შემთხვევაში, იძლევა დეზინფიცირების საშუალებას.				
14.	მოთხოვნები დეზინფექციის მიმართ	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
14.1	დასალაგებელი ინვენტარი, სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებები, სადეზინფექციო საშუალებების დასამზადებლად საჭირო ქიმიური ნივთიერებები ინახება ისე, რომ არ მოხდეს მათი შეხება შესაფუთ მასალასა და სურსათთან/ცხოველის საკვებთან.				
14.2	დასუფთავებისა და დეზინფექციის ყოველი პროცედურა აღრიცხულია თარიღისა და დროის მითითებით.				



14.3	სადეზინფექციო საშუალებები რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და თანმხლები დოკუმენტაციის თანახმად დასაშვები სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება/გადამუშავებაში.				
15.	მოთხოვნები სურსათის/ცხოველის საკვების ტრანსპორტირებისადმი	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
15.1	სურსათის/ცხოველის საკვების გადასაზიდად გამოყენებული საშუალებები (ტრანსპორტი, ჭურჭელი, კონტეინერი) არის ისეთ მდგომარეობაში, რომელიც გამორიცხავს სურსათის/ცხოველის საკვების დაზინძურებას.				
15.2	სურსათის/ცხოველის საკვების გადასაზიდად გამოყენებულ საშუალებებში (ტრანსპორტი, ჭურჭელი, კონტეინერი) არსებული სურსათი/ცხოველის საკვები დაცულია დაზინძურებისაგან.				
15.3	გადასაზიდი საშუალებები იძლევა არაერთგვაროვანი სურსათის/ცხოველის საკვების განცალკევების შესაძლებლობას.				
15.4	გადასაზიდი საშუალებები იძლევა სურსათისათვის/ცხოველის საკვებისათვის საჭირო ტემპერატურის შენარჩუნებისა და აღრიცხვის შესაძლებლობას.				
15.5	საჭიროების შემთხვევაში ხდება სურსათის/ცხოველის საკვების გადასაზიდი საშუალებების დასუფთავება/დეზინფექცია.				
16.	პერსონალის პირადი ჰიგიენა და ჯანმრთელობის მდგომარეობა	შეესაბამება	არ შეესაბამება	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	მითითებები
16.1	სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებასთან/გადამუშავებასთან შეხებაში მყოფ პერსონალს აცვია შესაფერისი, სუფთა და საჭიროების შემთხვევაში დამცავი ტანსაცმელი.				
16.2	პერსონალი, რომელიც ინფიცირებულია ისეთი დაავადებით, რომლის გავრცელება შესაძლებელია სურსათით/ცხოველის საკვებით, არ იღებს მონაწილეობას სურსათის წარმოების/გადამუშავების პროცესში.				
16.3	პერსონალის დამცავი ტანსაცმელი არ შეიცავს ისეთ ნივთებს, რომლებიც წარმოადგენს ფიზიკურ საფრთხეს (მაგ.: ქინძისთავი, ნემსი, პირადი ჰიგიენის საშუალებები და სხვ).				



17.	შემოწმების შედეგები: დაცულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები	კი	არა
18.	შეუსაბამობის ტიპი, ასეთის არსებობის შემთხვევაში		
18.1	არაკრიტიკული შეუსაბამობა		
18.2	კრიტიკული შეუსაბამობა		
18.3	არაკრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში, მიუთითეთ მითითებების შესრულებისათვის საჭირო გონივრული ვადა		
19. შენიშვნა			
ინსპექტირების ჩატარების თარიღი (რიცხვი, თვე)			
ინსპექტირების დაწყებისა და დასრულების დრო (სთ./წთ.)			
ელექტრონული შტამპი			
ბიზნესოპერატორის წარმომადგენლის (თანამშრომლის) პოზიცია		ეთანხმება	არ ეთანხმება (მიუთითეთ კონკრეტული საკითხები და პუნქტები)
<p>ბიზნესოპერატორს ან მის წარმომადგენელს განემარტა, რომ შესაბამისობის შეფასების აქტი გაიგზავნება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე და შესაბამისობის შეფასების აქტი ჩაითვლება ბიზნესოპერატორისათვის ჩაბარებულად. აღნიშნული განმარტება დადასტურებულია ვიდეოკამერის მეშვეობით გადაღებული ვიდეოფირით.</p>			

დანართი №5

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო

შესაბამისობის შეფასების აქტი № \_\_\_\_\_

(ივსება პირველადი წარმოების ობიექტების ინსპექტირებისას ჰიგიენის გამარტივებული მოთხოვნების შემოწმების მიზნით)

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად

1.	ბიზნესოპერატორის სრული სახელწოდება	
----	------------------------------------	--



2.	ბიზნესოპერატორის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები				
3.	ბიზნესოპერატორის წარმომადგენლის (თანამშრომლის) სახელი, გვარი, პირადი ნომერი				
4.	სურსათის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანო (დასახელება, მისამართი, ტელეფონი, ფაქსი)				
5.	უფლებამოსილი პირის გვარი, სახელი, თანამდებობა, სააგენტოს მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი				
6.	დამსწრე პირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი, თანამდებობა, პირადი ნომერი				
7.	ინსპექტირების ტიპი				
7.1	გეგმური				
7.2	არაგეგმური (მიუთითეთ ნიმუშის ლაბორატორიული დასკვნა)				
8.	მოთხოვნები წყლის მიმართ	კი	არა	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	რეკომენდაციები
8.1.	სურსათის/ცხოველის საკვების საწარმოებლად გამოყენებულია თუ არა ისეთი ხარისხის სასმელი წყალი (სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის გამარტივებულ წესში განსაზღვრული გამოწვევების გარდა), რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს				
9.	მოთხოვნები პირველადი პროდუქტების მიმართ	კი	არა	შენიშვნა (უარყოფითი შედეგის შემთხვევაში – შესაბამისი დასაბუთება)	რეკომენდაციები
9.1	ხდება თუ არა პირველადი პროდუქტის დაბინძურება მავნებლებისაგან				
9.2	ხდება თუ არა პირველადი პროდუქტის დაბინძურება ნარჩენებისა და საფრთხის შემცველი ნივთიერებების შენახვა-გადაზიდვის დროს				
9.3	გამოიყენება თუ არა შემდეგი სახის საშუალებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად:				
10.	საკვებდანამატები				



11.	ვეტერინარული დანიშნულების სამედიცინო პრეპარატები				
12.	მცენარეთა დაცვის საშუალებები				
13.	აგროქიმიკატები				
14.	ბიოციდები				

15.	შემოწმების შედეგები: დაცულია თუ არა ჰიგიენის გამარტივებული წესით დადგენილი მოთხოვნები	კი	არა

16. შეუსაბამობის ტიპი, ასეთის არსებობის შემთხვევაში

16.1	არაკრიტიკული შეუსაბამობა	
16.2	კრიტიკული შეუსაბამობა	
16.3	არაკრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში მიუთითეთ რეკომენდაციების შესრულებისათვის საჭირო გონივრული ვადა	

ინსპექტირების ჩატარების თარიღი (რიცხვი, თვე)

ინსპექტირების დაწყებისა და დასრულების დრო (სთ./წთ.)

ელექტრონული შტამპი

ბიზნესოპერატორის წარმომადგენლის (თანამშრომლის) პოზიცია	ეთანხმება	არ ეთანხმება (მიუთითეთ კონკრეტული საკითხები და პუნქტები)

ბიზნესოპერატორს ან მის წარმომადგენელს განემარტა, რომ შესაბამისობის შეფასების აქტი გაიგზავნება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე და შესაბამისობის შეფასების აქტი ჩაითვლება ბიზნესოპერატორისათვის ჩაბარებულად. აღნიშნული განმარტება დადასტურებულია ვიდეოკამერის მეშვეობით გადაღებული ვიდეოფირით.



